ხელშეკრულება N 185

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

დაბა შუახევი **01 სექტემბერი 2017 წ.**

ერთის მხრივ, შუახევის მუნიციპალიტეტი (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი გამგებლის ტარიელ ებრალიძის სახით და მეორეს მხრივ, **შპს „რესპუბლიკური კლინიკური ფსიქონევროლოგიური საავადმყოფო“** (შემდგომში - მიმწოდებელი), წარმოდგენილი დირექტორის **ეკა ზოიძის** სახით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 24 აგვისტოს N 2325 განკარგულების (SMP170002049) და აჭარის არ მთავრობის 2017 წლის 01 სექტემბრის N127 განკარგულების საფუძველზე ვდებთ გამარტივებული შესყიდვის წესით წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე: მიმწოდებელმა გაუწიოს შემსყიდველს მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისთვის თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება შემდეგ თანხაზე **25800(ოცდახუთი ათას რვაასი) ლარი.**

1.გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ -ხელშეკრულება) -შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თან დართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“-ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია“- (შემდგომ „შემსყიდველი) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 „მიმწოდებელი“-ნიშნავს პირს, რომელიც ასრულებს სამუშაოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“-ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2.შესყიდვის ობიექტი და კლასიფიკატორის კოდი

2.1 ხელშეკრულების შესყიდვის ობიექტია შუახევის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის ფარგლებში „თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისთვის“.

2.2 **კლასიფიკატორის კოდი: CPV85100000-**ჯანდაცვის სფეროს მომსახურებები

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაბზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და განახორციელოს მომსახურების ხარისხის პერიოდული ინსპექტირება.

3.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს მის შრომით ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

3.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის, ან ნაკლის აღმოფხვრა.

3.4 ამ მუხლის არცერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების სხვა ვალდებულებებისაგან.

3.5 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს **შუახევის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი ზაზა ზოიძე.**

4. მომსახურების გაწევის პირობები

4.1 მომსახურების გაწევა განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან **2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით**

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვისობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება ეტაპობრივად, შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით ანაზღაურების მოთხოვნის უწყისი № -- შესაბამისად(დანართი 1)(შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილ პირებს წარმოადგენენ წინამდებარე ხელშეკრულების მე-3 მუხლის 3.5 პუნქტში მითითებული პირები).

5.2 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველს წარმოადგენს ინსპუქტირების (ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე პასუხისმგებელი ჯგუფის დასკვნა და მიმწოდებლის ანგარიშები გაწეული მომსახზურების შესახებ).5.3 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

6.ანგარიშსწორება

6.1 ანგარისსწორება მოხდება ლარებში.

6.2 გადახდის ფორმა - უნაღდო

6.3. ანგარიშსწორების გრაფიკი ეტაბობრივად, მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10-თი კალენდარული დღის კადაში.

7. ფასები

7.1 მიმწოდებლის მიერ დაფიქსირებულ გასაწევი მომსახურების ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრებს.

7.2 ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრების შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დაშვებულია.

7.3 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დასაშვებია მხარეთა შეთანხმებით.

7.4 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა თუ ამ ცვლილების შედეგად იზდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

7.5 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზდა.

8.ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არდაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

8.2თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

8.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

8.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართი სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. უფლებების გადაცემა

9.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

10. ქვეკონტრაქტორი

10.1 ქვეკონტრაქტორი არ გამოიყენება.

11. გარანტია

11.1 მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს უხარისხოთ შესრულებული მომსახურების ან მისი ნაწილის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.

11.2 მიმწოდებლის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები წარმოქმნილი დეფექტების გამოსწორებისათვის და მოთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

12. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

(საჯარიმო სანქციები. ფორმა, ოდენობა და გადახდის ვადები)

12.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოყენება საჯარო სანქციები.

12.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვცალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა-ყოველ გადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით, ხოლო თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილს შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0,3%-ს

12.3. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან

12.4. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

13.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში შესმყიდვლს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

13.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არათავასუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისგან.

13.4 შემსყიდველი შეუძლია მიიღოს გადაწყეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას:

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში:

გ) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება:

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

13.5 ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაქეული მომსახურების ღირებულება.

13.6 შემსყიდველი უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუკი მიმწოდებლის მხრიდან შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადების დარღვევის პერიოდი აღემატება 15 კალენდარული დღეს.

14. ფორს-მაჟორი

14.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

14.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

14.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ;ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

15. სადაო საკითხების გადაწყვეტა

15.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

15.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესისდა მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულებაში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

16. გამოყენებული სამართალი

16.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

17. ხელშეკრულების ენა

17,1 ხელშეკრულება შედგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე, ოთხი ეგზემპლარი, თითეულ მათგანს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი მაშინ, მეორე ეგზემპლიარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს

18. შეტყობინებები

18.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

18.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

19. გადასახადები და დაბეგვრა

19.1 უცხოური მიმწოდებელი პასუხს აგებს სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში და მის გარეთ.

19.2 ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე. თუ ხელშეკრულების პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

20. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

20.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია **2018 წლის 31 იანვრის ჩათვლით.**

21. სხვა პირობები

21.1. არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

21.2. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

21.3.ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთიპირი მიმწოდებელთან და სამი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

21.4 პრეტედენტის მიერ წარმოდგენილი დანართები თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელს ნაწილს.

21.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

22. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:

შემსყიდველი:
შუახევის მუნიციპალიტი
მის: დაბა შუახევი, თამარ მეფის ქ.30
სახელმწიფო ხაზინა
ბ/კოდი: TRESGE22

საიდენტიფიკაციო კოდი: 247865145

გამგებელი ტარიელ ებრალიძე

მიმწოდებელი:

მიმწოდებელი:
შპს„რესპუბლიკური კლინიკური ფსიქონევროლოგიური საავადმყოფო“
მის. ქ.ბათუმი.ხახულის ქ. N36
სს „ბანკი ქართუ“
ბ/კოდი CRTUGE22
ა/ნ GE97CR0150009439283602
საიდენტიფიკაციო კოდი:248384234

დირექტორი ეკა ზოიძე

დანართი #1

ანაზღაურების მოთხოვნის უწყისი №	(თავფურცელი)
	ანგარიშგების პერიოდი:
	დაწესებულების დასახელება:
ხელშეკრულების №	
	№
	1
	1
	2
	ჯამი:

ანაზღაურების მოთხოვნის უწყისი №	
ანგარიშგების პერიოდი:	------ ---------- 2017 წ.
დაწესებულების დასახელება:	

ხელშეკრულების №

№	პაციენტის სახელი	პაციენტის გვარი	პირადი ნომერი	დაბადების თარიღი			ნოზოლოგიის კოდი (ICD 10)	ვიზიტის /სეანსების რაოდენობა	სამედიცინო პერსონალის ხელფასი	მედიკამენტები	არაპირდაპირი ხარჯი	მოსალოდნელი მოგება (სარგებელი) ან ზარალი	სულ ფაქტიური ხარჯი
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14
1													
2													

დანართი #2

- კოდები

მე-10 გადასინჯვა

მობილური გუნდების მომსახურებით (ფსიქიატრიული მომსახურებით) განსაზღვრული

ნოზოლოგიები ICD მე-10 გადასინჯვით:

(მოზარდები)

NN	კოდი (ICD-10)	ნოზოლოგია
1	F00_დან F09-ის ჩათვლით	ორგანული ბუნების აშლილობანი, სიმპტომატურ აშლილობათა ჩათვლით
2	F20-დან F29-ის ჩათვლით	შიზოფრენია, შიზოტიპური აშლილობანი
3	F30-დან F39-ის ჩათვლით	აფექტური აშლილობანი
4	F43	რეაქცია შწვავე სტრესზე და ადაპტაციის დარღვევები
5	F70-დან F79-ის ჩათვლით	გონებრივი ჩამორჩენა
6	F80-დან F89-ის ჩათვლით	ფსიქიკური განვითარების დარღვევები
7	F90-დან F98-ის ჩათვლით	ბავშვთა და მოზარდთა ასაკში დაწყებული ქცევითი და ემოციური აშლილობანი

ममობილური გუნდების მომსახურებით (ფსიქიატრიული მომსახურებით) განსაზღვრული
ნოზოლოგიები ICD მე-10 გადასინჯვით:

(ბავშვები)

NN	კოდი (ICD-10)	ნოზოლოგია
1	F06	ტვინის დაზიანებითა და დისფუნქციით, აგრეთვე სხვა ფიზიკური დაავადებით გამოწვეული ფსიქიკური აშლილობანი
2	F40-დან F48-ის ჩათვლით	ნევროზული, სტრესთან დაკავშირებული და სომატოფორმული აშლილობანი
3	F50-დან F59-ის ჩათვლით	ფიზიოლიგიური და ფიზიკური დარღვევებით გამოწვეული ქცევის პათოლოგია
4	F80-დან F89-ის ჩათვლით	ფსიქიკური განვითარების დარღვევები
5	F90-დან F98-ის ჩათვლით	ბავშვთა და მოზარდთა ასაკში დაწყებული ქცევითი და ემოციური აშლილობანი.

დანართი N3

საქართველოში რეგისტრირებული ,სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული და ნეიროლეფსიურ საშუალებები რომელსაც გამოიყენებს მობილური გუნდის ფსიქიატრი დანიშნულებისათვის კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციების (გაიდლაინები) და დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) შესაბამისად:

1. ციკლოდოლი 2 მგ
2. ჰალოპერიდოლი 10 მგ
3. რისპერიდონი 2 მგ
4. კლოზაპინი 100 მგ
5. ამიტრიპტილინი 25 მგ
6. კარბამაზეპინი 400 მგ
7. ტრიფლუპენაზინი 5 მგ
8. ოლანზაპინი 10 მგ
9. ფლუფენაზინი-დეკანოატი 25 მგ/მლ
10. ჰალოპერიდოლ-დეკანოატი 50 მგ/მლ
11. ქლორპრომაზინი 100 მგ
12. დიაზეპამი 10 მგ
13. ვალპრილ ქრონო 500 მგ
14. ფენობარბიტალი 100 მგ
15. ზუკლოპენტიქსოლი დეკა. 200 მგ/მლ
16. რეცეპტი ფორმაN2

შემსყიდველი:
შუახევის მუნიციპალიტი

გამგებელი ტარიელ ებრალიძე

მიმწოდებელი:
შპს„რესპუბლიკური კლინიკური ფსიქონევროლოგიური საავადმყოფო“

დირექტორი ეკა ზოიძე